BGS
ST. GEORGE'S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

მაისი - ივნისი / May - June 2026

დირექტორი გვამცნობს...

The Headmistress writes...

დასრულდა 2025-2026 სასწავლო წელი - ბევრი სიახლის, წარმატების და ცვლილების წელი.

წელს ბიჯიესის მრავალწლიანი მუშაობა დაფასდა და საქართველომ ოფიციალურად აღიარა Pearson-ის საერთაშორისო პროგრამა, რომლის საკვალიფიკაციო დოკუმენტი გათანაბრდა ქართულ ატესტატთან.

წელსაც ბიჯიესის სამმა მოსწავლემ დაიმსახურა OPLA სერტიფიკატი.

ბიჯიესის საერთაშორისო ურთიერთობები მეტად საინტერესოდ ვითარდება, იზრდება და ფართოვდება უცხოელი პარტნიორების ქსელი: კიდევ ერთი ბრიტანული სკოლა, ათენის საერთაშორისო Geitonas-ის სკოლა, გახდა ჩვენი პარტნიორი; ბიჯიესი ასევე წარმოდგენილი იყო ლონდონში Pearson-ის საერთაშორისო სკოლების ლიდერების კონფერენციაზე და სტამბოლის საგანმანათლებლო გამოფენაზე.

ბიჯიესში მოეწყო შემოდგომის დღესასწაული; 19 დეკემბერი, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღე, საჩუქრების დღე იყო ბიჯიესში; 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, ჩვენს სკოლაში ტრადიციულად ჩატარდა ყოველწლიური საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა; პირველად დავიწყეთ ახალი მუსიკალური კონკურსი . . .

ბიჯიესს წელს 8 კურსდამთავრებული ჰყავს. ეს ჩვენი სკოლის მე-19 გამოშვებაა.

ბედნიერ დასვენებას გისურვებთ.

გელით სკოლაში 14 სექტემბერს. 9 საათზე.

დირექტორი გვამცნობს...

The Headmistress writes...

The 2025–2026 academic year has come to an end—a year filled with exciting developments, achievements, and meaningful milestones.

This year marked official recognition of BGS's many years of dedication, as the Pearson International programme was approved by the Ministry of Education of Georgia, with its qualifications recognized as equivalent to the Georgian secondary school diploma.

Once again, three BGS students were awarded OPLA Certificates.

BGS continues to strengthen its international partnerships, with our global network growing year by year. This year, another British international school—the Geitonas School in Athens—joined our network of partner schools. BGS was also represented at the Pearson International School Leaders Conference in London and at the Global Education Fair in Istanbul.

Throughout the year, our school hosted a variety of memorable events, including the Autumn Festival, St Nicholas Day Gift Day on 19 December, our traditional Charity Fair on St George's Day on 6 May, and, for the first time, a new music competition.

This year, BGS proudly celebrates eight graduates—the 19th graduating class in the school's history.

We wish everyone a wonderful summer holiday.

We look forward to welcoming you back to school on 14 September at 9:00 a.m.

ქეთი გელაშვილი Pearson-ის საერთაშორისო სკოლის მასწავლებლის ჯილდოს ფინალისტია

Keti Gelashvili Named Finalist for the Pearson International School Teacher Awards

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ბიჯიესის პედაგოგი, ქეთი გელაშვილი, Pearson-ის 2026 წლის საერთაშორისო სკოლის მასწავლებლის ჯილდოს (Pearson International School Teacher Awards) ფინალისტია.

კონკურსზე წარდგენილი 1250-ზე მეტი ნომინანტიდან, ჟიურის გადაწყვეტილებით, ქეთი გელაშვილი ნომინაციაში „წლის ინოვატორის“ კატეგორიაში ორ ფინალისტს შორის დასახელდა.

როგორც Pearson-ის ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული:

„ეს ჯილდოები აღნიშნავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პედაგოგების გამორჩეულ ერთგულებას, ინოვაციურობასა და გავლენას. 1250-ზე მეტი ნომინანტიდან, თქვენი მიღწევები გამოირჩა იმ მნიშვნელოვანი გავლენით, რომელსაც ახდენთ როგორც თქვენი სკოლის საზოგადოებაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. იქნება ეს სწავლების ინოვაციური სტრატეგიები, ტრანსფორმაციული ლიდერობა თუ განათლებისადმი მრავალწლიანი ერთგულება — თქვენი წვლილი საერთაშორისო განათლების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.“

საერთაშორისო ჟიურის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს ბიჯიესის საგანმანათლებლო სივრცეში დანერგილი მიდგომების მაღალ სტანდარტს. კონკურსის საბოლოო შედეგები და გამარჯვებულის ვინაობა მიმდინარე წლის 18 ივნისს გამოცხადდება.

ვულოცავთ ქეთი გელაშვილს ამ უმნიშვნელოვანეს პროფესიულ აღიარებას და ვუსურვებთ წარმატებას.

ქეთი გელაშვილი Pearson-ის საერთაშორისო სკოლის მასწავლებლის ჯილდოს ფინალისტია

Keti Gelashvili Named Finalist for the Pearson International School Teacher Awards

Europe regional finalist: International School Innovator of the Year

Ketevan Gelashvili, Mathematics Teacher at St. George's Georgian-British School BGS, Georgia

"This is both an honour and a meaningful recognition of the work we do every day in the classroom. This recognition reflects the collective efforts of my students, colleagues, and school community, whose enthusiasm and support continually motivate me to explore new ways of teaching. I am proud to represent my school and grateful to Pearson for celebrating educators who strive to make a positive impact on students' lives."

We are delighted to announce that BGS educator Keti Gelashvili has been named a finalist for the 2026 Pearson International School Teacher Awards.

Out of more than 1,250 nominants submitted from around the world, the judging panel selected Keti Gelashvili as one of the two finalists in the “Innovator of the Year” category.

As stated in Pearson’s official announcement:

“These awards celebrate the outstanding dedication, innovation, and impact of educators from around the world. Among more than 1,250 nominants, your achievements stood out because of the meaningful impact you make both within your school community and beyond. Whether through innovative teaching strategies, transformational leadership, or long-standing commitment to education, your contribution represents the very best of international education.”

This decision by the international judging panel highlights the high standards of educational practice implemented within the BGS learning environment. The final results and the name of the winner will be announced on 18 June this year.

We congratulate Keti Gelashvili on this significant professional recognition and wish her every success.

ბოლო ზარი - დიდი მომავლის დასაწყისი

Last Bell – The Beginning of a Bright Future

ბიჯიესში ბოლო ზარი დაირეკა. სპეციალურად ამ დღისთვის მეთორეტეკლასელების მიერ დადგმულმა საცეკვაო კომპოზიციამ, ფურშეტმა და ტორტის გაჭრის საზეიმო წუთებმა სკოლის ეზო სადღესასწაულო სივრცედ აქცია. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი გულწრფელი სურვილები და ემოციები იყო.

ჩვენო კურსდამთავრებულებო, ბიჯიესს მუდამ ეყვარებით და ეამაყებით. გისურვებთ დიდ წარმატებებს!

The last bell rang at BGS. A dance performance specially prepared by the twelfth-grade students, along with a celebratory reception and the ceremonial cake-cutting, transformed the school courtyard into a festive space. Yet, the most meaningful part of the day was the heartfelt emotions and sincere wishes shared by all.

Dear graduates, BGS will always cherish you and take pride in your achievements. We wish you every success and happiness as you embark on the next chapter of your lives.

BGS Celebrates Its 19th Graduation Ceremony

ბიჯიესში მე-19 გამოსაშვები საღამო საზეიმოდ აღინიშნა

საგანმანათლებლო კალენდარში წლის ყველაზე მნიშვნელოვანი და ემოციური ღონისძიება ჩაიწერა: სკოლამ საზეიმო ვითარებაში გააცილა თავისი მე-19 გამოშვების მეთორმეტეკლასელები. საღამო ტრადიციულად საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ეროვნული ჰიმნებით გაიხსნა.

წელს სკოლა 8 გამორჩეულმა ახალგაზრდამ დაასრულა. თითოეული მათგანის ორმაგი ატესტატს მიიღებს (როგორც ეროვნულ, ისე ბრიტანული საერთაშორისო ატესტატს). ეს აღიარება ჩვენს კურსდამთავრებულებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, სწავლა შეუფერხებლად გააგრძელონ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. მათმა უმრავლესობამ უკვე მიიღო შეთავაზებები მაღალი რეპუტაციის მქონე სხვადასხვა სასწავლებლებიდან.

კურსდამთავრებულებს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება და მნიშვნელოვანი წარმატება სკოლის ხელმძღვანელობამ, დამრიგებელმა და მოწვეულმა სტუმრებმა მიულოცეს.

ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა ბიჯიესის პარტნიორი ორგანიზაციის -ბრიტანული უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ბატონი ლევან გურგენიძე, რომელმაც ახალგაზრდებს სიტვით მიმართა.

სკოლის სახელით დამსწრე საზოგადოებას ემოციური და შთამბეჭდავი გამოსამშვიდობებელი სიტყვით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, მიმართეს კურსდამთავრებულებმა - საბა სამხარაძემ და მარიამ დავითულიანმა.

ღონისძიების ერთ-ერთ მთავარ სიურპრიზად იქცა საგანგებოდ მომზადებული ვიდეოკლიპები, რომლებიც მოსწავლეებმა და სკოლის ადმინისტრაციამ მოამზადა. ამ კადრებმა სკოლის კედლებში გატარებული საუკეთესო წლები, მეგობრობა და დაუვიწყარი მოგონებები გააცოცხლა.

მშობლების საზოგადოების სახელით, შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა ქალბატონმა თიკა ტყემალაძემ. საღამოს კულმინაცია კი ტრადიციული სადღესასწაულო ტორტის გაჭრა და კეთილი სურვილების გაზიარება აღმოჩნდა.

ბიჯიესი ამაყობს თავისი მე-19 გამოშვებით! თითოეულ კურსდამთავრებულს ვუსურვებთ, მყარად და ღირსეულად ევლოთ დასახული მიზნებისკენ!

ბიჯიესში მე-19 გამოსაშვები საღამო საზეიმოდ აღინიშნა

BGS Celebrates Its 19th Graduation Ceremony

BGS Celebrates Its 19th Graduation Ceremony

ბიჯიესში მე-19 გამოსაშვები საღამო საზეიმოდ აღინიშნა

The most significant and emotional event of the academic calendar has taken place: in a formal ceremony, the school bid farewell to its 19th cohort of Year 12 graduates. As is tradition, the evening commenced with the national anthems of Georgia and the United Kingdom.

This year, eight outstanding young people graduated from the school. Each of them will receive a dual diploma, comprising both the Georgian national secondary school diploma and the British international secondary school qualification. This recognition provides our graduates with a unique opportunity to continue their education seamlessly at leading universities around the world. The majority have already received offers from a range of highly reputable higher education institutions.

The school leadership, their homeroom teacher, and invited guests extended their congratulations to the graduates and wished them success as they embark on the next chapter of their lives.

The ceremony was honoured by the presence of the Vice-Rector of the British University, Mr Levan Gurgenidze, a representative of one of BGS's partner organisations, who addressed the graduates with an inspiring speech.

On behalf of the graduating class, Saba Samkharadze and Mariam Davituliani delivered heartfelt farewell speeches in both Georgian and English to the audience.

One of the highlights of the evening was a series of specially prepared video tributes created by the students and the school administration. These videos brought to life the graduates' most cherished memories, friendships, and the unforgettable years they spent in school.

Representing the parents' community, Mrs Tika Tkemaladze also addressed the guests. The evening concluded with the traditional ceremonial cutting of the graduation cake and the sharing of heartfelt wishes for the graduates' future.

BGS is proud of its 19th graduating class. We wish each and every graduate the confidence and determination to pursue their goals with integrity and success.

ბიჯიესის დაწყებითი საფეხურის გამოსაშვები ღონისძიება

Juniors Graduation Celebration at BGS

ბიჯიესის მეექვსეკლასელებმა შემდეგ საფეხურზე გადასვლა საზეიმო ღონისძიებით აღნიშნეს. კლასის დამრიგებელთან, ნატა ბენდელიანთან ერთად, მოსწავლეებმა სტუმრებს ის დაუვიწყარი დღეები და მოგონებები გაუზიარეს, რომლებიც ამ წლების განმავლობაში სკოლაში დააგროვეს.

ღონისძიებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართულ და ინგლისურ ენებზე მიღებულ საფუძვლიან ცოდნას, ასევე იმ უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც ბავშვებმა სხვადასხვა სასკოლო თუ გასვლითი აქტივობის ფარგლებში შეიძინეს.

შეხვედრას, საპატიო სტუმრების რანგში, პირველკლასელებიც ესწრებოდნენ. მეექვსეკლასელებმა მათ ბრიტანული საერთაშორისო სკოლების ტრადიციების თანახმად, სიმბოლური სერტიფიკატები გადასცეს და მომავალი სასწავლო წლისთვის წარმატებები უსურვეს.

BGS Year 6 students celebrated the completion of their primary years with a special graduation ceremony. Together with their homeroom teacher, Nata Bendeliani, they shared unforgettable memories and reflected on the wonderful experiences they had gathered throughout their years at school.

The event highlighted the strong academic foundation students have built in both Georgian and English, as well as the valuable experiences they gained through a wide range of school-based and educational activities.

As honoured guests, our Year 1 students attended the ceremony. Following the tradition of British international schools, the Year 6 graduates presented them with symbolic certificates and wished them every success in the coming academic year.

We Are Going to School!

ჩვენ სკოლაში მივდივართ

ჩვენმა ყველაზე პატარა, საყვარელმა ბიჯიესელებმა პრესქული დაამთავრეს!

პატარები მშობლების წინაშე საოცრად მხიარული პროგრამით წარდგნენ, ისინი დამსახურებული სერტიფიკატებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ეს ღონისძიება მთელი წლის ერთგვარი შეჯამება იყო. პატარებს საზეიმოდ გადაეცათ საკუთარი ხელით, დიდი მონდომებით შექმნილი კერამიკული და ფერწერული ნამუშევრები.

მსგავსი დღესასწაულები საუკეთესო დასტურია იმისა, თუ როგორ გაიზარდნენ და მოემზადნენ ჩვენი პატარები სასკოლო ცხოვრებისათვის.

It was graduation time for our youngest and most adorable BGS learners as they completed their Preschool programme.

The children delighted parents with a joyful performance featuring songs and celebrations before proudly receiving their well-earned certificates, diplomas, and medals.

The event marked the culmination of a wonderful year of learning and growth. Each child was also presented with their own ceramic and painting creations, carefully crafted throughout the year.

These celebrations are a wonderful reminder of how much our young learners have grown and how well prepared they are to begin their exciting school journey.

საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა ბიჯიესში

Charity Fair at BGS

ბიჯიესში გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციული საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ღონისძიება ჩვენი მოსწავლის, ნიკა მესხის ხსოვნას ეძღვნება და მისი მთავარი მიზანი სკოლის „შვილობილის“, ცოტნე მიქუტიშვილის მხარდაჭერაა. საქველმოქმედო აქცია, მეთორმეტეკლასელებმა მარიამ დავითულიანმა და ალექსანდრე ლაბაძემ გახსნეს. სახლებად დაყოფის შემდეგ, მათი ლიდერების მიერ ღონისძიების საზეიმო გახსნა სკოლის ტრადიციად დამკვიდრდა.

აქციაში აქტიურად იყო ჩართული მთელი სკოლა. ღია ცის ქვეშ მოეწყო მოსწავლეების მიერ კერამიკისა და ხელოვნების გაკვეთილებზე შექმნილი ნამუშევრებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მეათეკლასელი ლუკა ლობჟანიძის ფოტოგამოფენამ, რომელიც მუსიკალურად თავად გააფორმა. ქველმოქმედებას მოხმარდა, სტუმრებისთვის მოწყობილი სპეციალური კაფედან შემოსული თანხაც, სადაც უფროსკლასელების მომზადებული ტკბილეული და კერძები გაიყიდა.

მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ მინიჭადრაკის ტურნირსა და შემეცნებით თამაშებში, ასევე ჩართულიყვნენ ლოტოს გათამაშებაში, რომლის საპრიზო ფონდზე მშობლებმა იზრუნეს. მხიარული და შემოქმედებითი გარემო შექმნეს მოწვეულმა სტუმრებმა: ზალიკო სულაკაურმა და თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

აღსანიშნავია, რომ აქციაში ყოველწლიურად მონაწილეობენ კურსდამთავრებულები და მშობლები. ბიჯიესი მადლობას უხდის თითოეულ სტუმარს გამოჩენილი გულისხმიერებისა და თანადგომისთვის.

საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა ბიჯიესში

Charity Fair at BGS

On the occasion of St. George's Day, BGS held its traditional Charity Fair. The event was dedicated to the memory of our student, Nika Meskhi, and its primary purpose was to support the school's sponsored child, Tsotne Mikutishvili.

The charity event was officially opened by twelfth-grade students Mariam Davituliani and Alexandre Labadze. Since the introduction of the House System, it has become a school tradition for student leaders to ceremonially open major school events.

The entire school community actively participated in the initiative. An open-air exhibition and sale featured ceramics, artwork, and handmade crafts created by students during their art and ceramics lessons. A special highlight of the event was a photography exhibition by tenth-grade student Luka Lobzhanidze, which he personally accompanied with a musical performance.

Funds were also raised through a special café organized for guests, where senior students sold homemade desserts and dishes. Students had the opportunity to participate in a mini chess tournament, educational games, and a raffle, with prizes generously provided by parents.

The festive atmosphere was enhanced by special guests, including Zaliko Sulakauri and students from the Theatre University.

It is noteworthy that alumni and parents participate in this charity event every year. BGS extends its sincere gratitude to every guest for their kindness, generosity, and support.

Ceremonial House Awards at BGS

ბიჯიესში სახლების საზეიმო დაჯილდოება გაიმართა

პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ბიჯიესის სტადიონზე სახლების საზეიმო დაჯილდოება მოეწყო, სადაც მოსწავლეები მთელი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების შესაჯამებლად შეიკრიბნენ.

წლის განმავლობაში გამართულ სპორტულ, მუსიკალურ თუ ინტელექტუალურ შეჯიბრებებში სხვადასხვა ნომინაციით ყველა სახლი დაჯილდოვდა, თუმცა მაქსიმალური ქულების დაგროვება და საბოლოო გამარჯვება კვლავ იბერების სახლმა მოიპოვა. განსაკუთრებული აღიარება ხვდა წილად ლიზა ენდელაძეს, რომელმაც ქულების რეკორდულ რაოდენობაში უმნიშვნელოვანესი ოქროს სიგელი მოიპოვა.

ღონისძიება განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა კურსდამთავრებულებისთვის - Head Girl მარიამ დავითულიანისა და Head Boy ალექსანდრე ლაბაძისთვის, რომლებმაც სკოლას გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართეს. საკუთარი ჰიმნების ფონზე სერტიფიკატები გადაეცათ ჰაუსის კაპიტნებსა და წლის გმირებს. ცერემონიაზე საზეიმოდ დაასაჩუქრეს სახლის გმირები და კოორდინატორები, დღესასწაული კი, ტრადიციისამებრ, მხიარული თამაშობებითა და ნაყინის დაგემოვნებით დასრულდა.

ვულოცავთ ყველა ბიჯიესელს კიდევ ერთი წარმატებული სასწავლო წლის დასრულებას!

Ceremonial House Awards at BGS

ბიჯიესში სახლების საზეიმო დაჯილდოება გაიმართა

On June 1st, International Children's Day, BGS held its annual House Awards Ceremony at the school stadium, bringing together students to celebrate and reflect on their achievements throughout the academic year.

Throughout the year, all houses earned recognition in various sporting, musical, and academic competitions. However, the Iberians House once again accumulated the highest number of points and secured the overall championship title. Special recognition was awarded to Liza Endeladze, who earned the prestigious Gold Certificate by achieving a record number of individual points.

The event was particularly emotional for graduating students, especially Head Girl Mariam Davituliani and Head Boy Alexandre Labadze, who delivered farewell speeches to the school community.

Against the backdrop of their house anthems, certificates were presented to House Captains and House Heroes. House coordinators and outstanding student representatives were also honored during the ceremony. As tradition dictates, the celebration concluded with fun games and ice cream enjoyed by all.

We congratulate every member of the BGS community on the successful completion of another outstanding academic year!

ლიტერატურული თავგადასავალი ბიჯიესში

A Literary Adventure at BGS

ლიტერატურული თამაშების ტურნირმა 29 მაისს ბიჯიესში სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები გააერთიანა და მათ შესაძლებლობა მისცა, ლიტერატურა სრულიად განსხვავებული რაკურსით დაენახათ.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეებმა „ლიტერატურული ლოტო“ ითამაშეს, ხოლო უფროსკლასელებმა - სამაგიდო თამაში „ლიტერატურული მისია“. ამ შემეცნებით თავგადასავალს ჩვენი კურსდამთავრებულებიც ესწრებოდნენ.

დღე თბილისის სტუდენტური ჟურნალის ახალგაზრდა ჟურნალისტებთან ინტერვიუთი დასრულდა. ჟურნალისტები შემეცნებითმა პაექრობამ იმდენად დააინტერესა, რომ მათ მონაწილეებთან ერთად თამაშში აქტიურად მიიღეს მონაწილეობა.

On May 29th, the Literary Games Tournament brought together students from different grades at BGS and gave them the opportunity to experience literature from a completely new perspective.
Students in Grades 4, 5, and 6 played “Literary Lotto,” while the senior students took part in the board game “Literary Mission.” Our graduates also attended this educational adventure.
The day concluded with an interview conducted by young journalists from a student magazine in Tbilisi. The competition proved so engaging that the journalists enthusiastically joined the participants and took an active part in the games themselves.

ინტელექტუალური დღესასწაული - „რა? სად? როდის?“ დიდი ფინალი!

An Intellectual Celebration – The Grand Finale of “What? Where? When?”

ინტელექტუალური მარათონი ბიჯიესში საზეიმო ფინალით დასრულდა. სკოლის სახლებს შორის გამართული დაძაბული ასპარეზობის შემდეგ, გადამწყვეტ თამაშში ერთმანეთს IX-XII კლასების გამორჩეული მოაზროვნეებით დაკომპლექტებული ორი გუნდი - „კელტები“ და „კოლხები“ დაუპირისპირდა. ოთხი სახლიდან სწორედ მათ მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება და მაყურებელს ნამდვილი ინტელექტუალური დუელი შესთავაზეს.

საღამოს განსაკუთრებული სტატუსი შესძინა თამაშის წამყვანმა - სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, გიგა ჩალიგავამ, რომელიც ელიტარული ინტელექტკლუბის მოაზროვნე და გამოცდილი წევრია. კლასიკური „რა? სად? როდის?“ პრინციპით წარმართული 15 კითხვის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა, გამარჯვებულის გამოსავლენად კი დამატებითი რაუნდი დაინიშნა.

ამ დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება „კელტებმა“ მოიპოვეს. თამაშის თითოეულმა მონაწილემ საკუთარ სახლს 50 ქულა მოუტანა, ხოლო „კოლხებმა“ ღირსეული ასპარეზობისთვის სახლის ყულაბა 30 ქულით შეავსეს.

ვამაყობთ ჩვენი მოაზროვნეებით, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეს, რომ ბიჯიესში შემეცნება ყოველთვის ასეთი აზარტული და შთამბეჭდავია.

ინტელექტუალური დღესასწაული - „რა? სად? როდის?“ დიდი ფინალი!

An Intellectual Celebration – The Grand Finale of “What? Where? When?”

The intellectual marathon at BGS concluded with a festive grand finale. Following a series of intense competitions between the school houses, two teams composed of outstanding thinkers from Grades 9 – 12 - “Celts” and “Colchians” - faced each other in the decisive match. Out of the four houses, these two teams earned the right to compete in the final and delivered a truly remarkable intellectual duel.

The evening gained additional prestige thanks to the host of the event, the school’s history teacher, Giga Chaligava, who is an experienced member and expert participant of the elite intellectual club. After 15 questions conducted according to the classic “What? Where? When?” format, the score was tied, making an extra round necessary to determine the winner.

After a tense battle, the “Celts” emerged victorious. Each participant earned 50 points for their house, while the “Colchians” added 30 points to their house’s total in recognition of their commendable performance.

We are proud of our young thinkers, who once again proved that learning at BGS is always exciting, engaging, and inspiring.



არჩევანი კანონსა და ზნეობრივ პრინციპებს შორის

Choosing Between the Law and Moral Principles

„ტერორი“ გახლავთ გერმანელი იურისტისა და მწერლის, ფერდინანდ ფონ შირახის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და დამაფიქრებელი პიესის ინსცენირება.

წარმოდგენის დროს ჩვენმა მეთორმეტეკლასელებმა ნაფიცი მსაჯულის როლი იტვირთეს. ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა სასამართლო პროცესი, რომელშიც ერთმანეთს კანონი, ზნეობრივი პრინციპები და ადამიანის სიცოცხლე დაუპირისპირდა.

საბოლოოდ სწორედ ჩვენმა, მაყურებლის, გადაწყვეტილებამ განსაზღვრა სპექტაკლის დასასრული — უნდა გამართლებულიყო თუ არა ბრალდებული?

ეს სასამართლო დრამა აღმოჩნდა არა მხოლოდ თეატრალური წარმოდგენა, არამედ ღრმა ინტელექტუალური და ემოციური გამოცდილება. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გააცნობიერეს არგუმენტირებული მსჯელობისა და განსხვავებული აზრის პატივისცემის მნიშვნელობა, ხოლო დისკუსია საკლასო ოთახშიც გაგრძელდა.

Our Year 12 students attended a performance of Terror, one of the most acclaimed and thought-provoking contemporary plays by the German lawyer and author Ferdinand von Schirach.

During the performance, our students took on the role of jurors as a gripping courtroom trial unfolded before them, exploring the complex conflict between the law, moral principles, and the value of human life.

Ultimately, it was the audience's verdict that determined the ending of the play: should the defendant be found guilty or acquitted?

More than simply a theatrical performance, Terror became a profound intellectual and emotional experience. It encouraged students to appreciate the importance of reasoned argument, critical thinking, and respect for differing viewpoints—conversations that continued in the classroom long after the curtain fell.

Hamlet – One of the Greatest Plays of All Time

„ჰამლეტი“ – ყველა დროის საუკეთესო პიესა!

კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა კლასიკურ ლიტერატურასთან.

შექსპირის „ჰამლეტის“ ინსცენირებამ დაუვიწყარი ემოციები და საფიქრალი გაუჩინა მეცხრეკლასელებს. თეატრის ჯადოსნურმა სამყარომ, ორიგინალურმა ინტერპრეტაციამ და, რა თქმა უნდა, თავად პიესამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია კლასიკოსების შემოქმედება.

Our Year 9 students enjoyed another inspiring encounter with classical literature through a performance of Shakespeare's Hamlet.

The powerful staging, imaginative interpretation, and timeless themes of the play left students with lasting impressions and much to reflect upon. Once again, the world of theatre demonstrated why the works of the great classics continue to remain relevant and meaningful today.

„პატარა უფლისწული“ ბიჯიესში: როცა ლიტერატურა, მუსიკა და ჩრდილების თეატრი ერთიანდება

“The Little Prince” at BGS: When Literature, Music, and Shadow Theatre Come Together

„ყველა დიდი ადამიანი თავდაპირველად ბავშვი იყო, მაგრამ ძალიან ცოტას თუ ახსოვს ეს...“ - ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ეს უკვდავი სიტყვები ჩვენი მეხუთეკლასელებისთვის შთაგონების წყაროდ იქცა.

ქართულ-ბრიტანულ სკოლაში ნამდვილი შემოქმედებითი დღესასწაული მოეწყო. მეხუთეკლასელებმა „პატარა უფლისწულის“ ორიგინალური ინსცენირება შემოგვთავაზეს. ეს სპექტაკლი ლიტერატურისა და მუსიკის გაკვეთილების ინტეგრირების შედეგად შეიქმნა. დადგმა განსაკუთრებულად შთამბეჭდავი ედუარდ გრიგის მუსიკალური კომპოზიციების წყალობით გახდა.

სცენა და ჩრდილების თეატრი - ერთიანი სივრცე

წარმოდგენა თავისი ფორმით გამორჩეული აღმოჩნდა: მოსწავლეებმა გააერთიანეს ცოცხალი შესრულება და ჩრდილების თეატრის ესთეტიკა. ბავშვები ერთდროულად იდგნენ სცენაზეც და თეჯირს მიღმაც, სადაც ჩრდილების მეშვეობით წარმოადგენდნენ პერსონაჟებს.

ამ შედეგამდე მოსწავლეებმა საინტერესო მოსამზადებელი გზა გაიარეს:

- დაესწრნენ ჩრდილების თეატრის სპექტაკლს და გაიარეს სპეციალური მასტერკლასი;
- გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილებზე თავად იმუშავეს ფიგურებსა და გმირებზე.

ეს იყო დღე, რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რამდენად მნიშვნელოვანია, მუდამ „დიდ ბავშვებად“ დავრჩეთ.

„პატარა უფლისწული“ ბიჯიესში: როცა ლიტერატურა, მუსიკა და ჩრდილების თეატრი ერთიანდება

“The Little Prince” at BGS: When Literature, Music, and Shadow Theatre Come Together

“All grown-ups were once children… but only a few of them remember it.” These timeless words by Antoine de Saint-Exupéry became a source of inspiration for our fifth-grade students.

A true celebration of creativity took place at the British-Georgian School. Fifth graders presented an original adaptation of The Little Prince. The performance was created through the integration of literature and music lessons and was made especially captivating by the musical compositions of Edward Grieg.

The Stage and the Shadow Theatre – One Shared Space

The performance stood out for its unique format, combining live acting with the artistry of shadow theatre. Students performed both on stage and behind the screen, using shadows to bring the characters to life.

To achieve this result, students followed an engaging preparation process:

- They attended a shadow theatre performance and participated in a special workshop;
- During applied arts lessons, they created the figures and characters themselves.

It was a day that reminded us once again how important it is to remain “grown-up children” at heart.

Learning Turned into Inspiration

შთაგონებად ქცეული სასწავლო პროცესი

მესამეკლასელებმა ორიგინალური ინტეგრირებული ინგლისურენოვანი ღია გაკვეთილი შემოგვთავაზეს, სადაც ერთ სივრცეში ჰარმონიულად გაერთიანდა - ინგლისური ენა, მუსიკა და ცეკვა.

ბავშვებმა საინტერესოდ და ამომწურავად გვიამბეს მუსიკალური საკრავების წარმოშობის ისტორია, შემდეგ კი კლასიკური მუსიკის სამყაროში გვამოგზაურეს. მათ თავადაც შეასრულეს დიდი კლასიკოსების ნაწარმოებები ფორტეპიანოზე, უკულელესა და ქსილოფონზე. ეს განსაკუთრებული გაკვეთილი ვალსით დასრულდა.

პატარებს სასიამოვნო სიურპრიზი მასწავლებლებმაც მოუმზადეს, - ვიდეოკოლაჟი, რომელიც მრავალფეროვანი აქტივობების მომზადების პროცესსა და ქართული ენის გაკვეთილებზე შექმნილ დიორამებს ასახავდა.

ვიდეომასალის საშუალებით დამსწრეები თავადაც გავხდით ამ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები და ნათლად დავინახეთ, რამდენად საინტერესო და შრომატევადია მსგავსი ღონისძიებების მომზადება. ღია გაკვეთილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, ინტეგრირებული სწავლების ეფექტურობა და შემოქმედებითი მიდგომის მნიშვნელოვანი როლი სასწავლო პროცესში.

Learning Turned into Inspiration

შთაგონებად ქცეული სასწავლო პროცესი

Our third-grade students presented an original integrated open lesson in English, where the English language, music, and dance came together harmoniously in a single learning experience.

The students shared an engaging and comprehensive overview of the history and origins of musical instruments before taking the audience on a journey through the world of classical music. They also performed works by great composers on the piano, ukulele, and xylophone. This special lesson concluded with a waltz performance.

The teachers prepared a pleasant surprise for the students as well—a video collage showcasing the preparation process behind the various activities, as well as the dioramas created during Georgian language lessons.

Through the video, the audience became part of this creative journey and gained a clear understanding of the dedication, effort, and teamwork required to organize such events. The open lesson once again demonstrated the effectiveness of integrated learning and highlighted the important role of creativity in the educational process.

მეოთხეკლასელთა საგანმანათლებლო პროექტი

Fourth Graders' Educational Project

მეოთხეკლასელებმა წარმოადგინეს კვლევითი პრეზენტაციები თემაზე „კოსმოსი“. აქტივობა მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ორენოვანი კომპეტენციების განვითარებასა და საჯარო გამოსვლის უნარების სრულყოფას.

სამუშაო პროცესი დაფუძნებული იყო გუნდური მუშაობის პრინციპებზე. პრეზენტაციები მიმდინარეობდა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, რითაც მოსწავლეებმა წარმოაჩინეს აკადემიური ლექსიკისა და ორენოვანი კომუნიკაციის თავისუფალი ფლობის დონე.

გამოსვლისას მოსწავლეებმა გამოავლინეს პრეზენტაციის მაღალი კულტურა და აუდიტორიასთან ინტერაქციის უნარი. ღონისძიება ორიენტირებული იყო პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებასა და მოსწავლეთა ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაზე.

Fourth-grade students presented research-based presentations on the theme of "Space." The activity aimed to develop students' bilingual competencies and enhance their public speaking skills.

The working process was based on the principles of teamwork. Presentations were delivered in both Georgian and English, allowing students to demonstrate their command of academic vocabulary and bilingual communication.

During their presentations, students displayed strong presentation skills and the ability to engage with their audience. The event focused on deepening practical knowledge and fostering the realization of students' intellectual potential.

გემრიელი გრამატიკა - როგორ სწავლობენ მეოთხეკლასელები ბიჯიესში

Delicious Grammar – How Fourth Graders Learn at BGS

მეოთხეკლასელების საკლასო ოთახი ცოტა ხნით „კაფედ“ გადაიქცა, სადაც მოსწავლეებს უჩვეულო მენიუ დახვდათ: ნამცხვრის ნაჭრებზე სხვადასხვა ბრუნვაში დასმული სიტყვები ეწერა. მოსწავლეების მისია იყო, ეპოვათ მართებული ბრუნვის სახელი და მიეკვლიათ სწორი გრამატიკული კომბინაციისთვის. დავალების შესრულების შემდეგ კი, მათ დამსახურებული ტკბილეული მიირთვეს.

ამ აქტივობის მთავარი მიზანი იყო, ბავშვებს დაენახათ, რომ გრამატიკა მხოლოდ წიგნებში დაწერილი მკაცრი წესები არ არის. ის ჩვენს ირგვლივაა, - ჩვენს ყოველდღიურობაში.

ჩვენი სკოლისთვის მსგავსი შემოქმედებითი მიდგომები უმნიშვნელოვანესია, რადგან სწავლა თამაშით ბევრად უფრო ეფექტური და სახალისოა.

For a short time, the fourth graders’ classroom turned into a “café,” where students were greeted by an unusual menu: pieces of cake labelled with words written in different grammatical cases. Their task was to identify the correct case name and match it with the appropriate grammatical form. After successfully completing the activity, they enjoyed their well-deserved treats.

The main goal of this activity was to help children see that grammar is not just a collection of strict rules found in textbooks. It is all around us in our everyday lives.

For our school, creative approaches like this are especially important, as learning through play is both more effective and more enjoyable.

მეოთხეკლასელების თავგადასავალი საგურამოში

Fourth Graders' Adventure in Saguramo

მეოთხეკლასელების ექსკურსია საგურამოში თავგადასავლებით სავსე აღმოჩნდა. დღე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მონახულებით დაიწყო, სადაც ბავშვებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ამბები დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებაზე.

მოსწავლეებმა მთელი დღე სუფთა ჰაერზე გაატარეს. უამრავი მხიარული თამაშით, გუნდური აქტივობებით დაკავდნენ და ერთმანეთთან კიდევ უფრო დაახლოვდნენ.

The fourth graders' excursion to Saguramo was full of adventure. The day began with a visit to the house-museum of Ilia Chavchavadze, where students listened with great interest to stories about the life of the renowned writer and public figure.

The students spent the entire day outdoors, enjoying the fresh air. They took part in numerous fun games and team activities, strengthening their friendships and growing even closer to one another.

პირველკლასელთა საზეიმო ღონისძიება ბიჯიესში

A Special Celebration for First Graders at BGS

პირველკლასელებმა ქართული ანბანის შესწავლა საზეიმო ღონისძიებით აღნიშნეს. წარმოდგენის სცენარი ქართული მულტფილმის, „ბომბორას“ მიხედვით დაიწერა.

მოსწავლეებმა სცენაზე ძველი თბილისის პატარა ამბავი გააცოცხლეს. ბავშვების გულწრფელმა ემოციებმა, სიმღერებმა და ქართულმა საცეკვაო რიტმებმა წარმოდგენას განსაკუთრებული განწყობა შესძინა.

ეს იყო მნიშვნელოვანი დღე ჩვენი პატარებისა და მთელი სკოლისთვის. პირველკლასელებმა არა მხოლოდ შეისწავლეს ქართული ანბანი, არამედ სცენაზე ნამდვილი სანახაობა დადგეს. მადლობა ჩვენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს იმ ემოციისთვის, რომელიც თითოეულმა გამოსვლამ დაგვიტოვა.

First-grade students celebrated learning the Georgian alphabet with a special event. The performance was based on the Georgian animated film “Bombora.”

On stage, the students brought to life a charming story from old Tbilisi. Their genuine emotions, songs, and traditional Georgian dance rhythms gave the performance a truly special atmosphere.

It was an important day for our youngest students and for the entire school community. The first graders not only learned the Georgian alphabet but also presented a wonderful performance on stage. We thank our students and teachers for the memorable emotions that each performance brought to us.

Integrated Lesson: The Jurassic Period and Sataplia Nature Reserve

ინტეგრირებული გაკვეთილი - იურული პერიოდი და სათაფლიის ნაკრძალი

ბიჯიესში მრავალფეროვანი ინტეგრირებული ღონისძიება გაიმართა, რომელმაც ქართული და ინგლისური ენები, მუსიკა და ხელოვნება გააერთიანა. ჩვენმა პატარა მკვლევრებმა იურული პერიოდის სამყარო მიმოიხილეს, ისაუბრეს დინოზავრების შესახებ და მიღებული ცოდნა ინგლისურ ენაზეც წარმოადგინეს. ვიზუალური გაფორმებისთვის ბავშვებმა ხელოვნების გაკვეთილებზე საკუთარი ხელით დამზადებული დინოზავრები გამოიყენეს.
პრეზენტაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი დაეთმო იმ ფაქტს, რომ დინოზავრების ისტორია მხოლოდ შორეულ ქვეყნებს არ უკავშირდება. მათი კვალი ჩვენს სამშობლოშიც არის აღმოჩენილი, ულამაზეს სათაფლიის ნაკრძალში, სადაც დინოზავრების ნაკვალევია შემონახული.

BGS hosted an engaging integrated lesson that combined the Georgian and English languages, music, and art. Our young researchers explored the fascinating world of the Jurassic Period, learned about dinosaurs, and confidently presented their knowledge in English. To enhance their presentations, the children showcased dinosaur models they had created during their art lessons.
A particularly important part of the lesson focused on the fact that dinosaur history is not limited to distant countries. Evidence of dinosaurs has also been discovered in Georgia, at the beautiful Sataplia Nature Reserve, where preserved dinosaur footprints continue to inspire visitors today.

A Fun Excursion to Martkopi

მხიარული ექსკურსია მარტყოფში

ბიჯიესის მეორე და მესამე კლასის მოსწავლეები მარტყოფს ესტუმრნენ. მზიანმა ამინდმა და მხიარულმა განწყობამ სასკოლო გასვლა განსაკუთრებული და საინტერესო გახადა. ეს დღე და დაუვიწყარი ემოციები დიდხანს დარჩება თითოეული მოსწავლის მოგონებებში.

Our Year 2 and Year 3 students enjoyed an exciting excursion to Martkopi. Beautiful weather and cheerful spirits made the trip especially memorable and enjoyable. It was a wonderful day filled with fun, discovery, and unforgettable moments that will remain with the children for years to come.

Sports Days at BGS

სპორტული დღეები ბიჯიესში

ბიჯიესში სასწავლო წლის მიწურულს ტრადიციული სპორტული დღეები მოეწყო, რომელშიც მოსწავლეები სახლების სისტემის მიხედვით დაკომპლექტებული გუნდებით მონაწილეობდნენ. ღონისძიებებმა როგორც დაწყებით, ისე უფროს საფეხურებზე საინტერესო და ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ჩაიარა.

დაწყებით საფეხურზე სახლებს შორის საფეხბურთო ტურნირი გაიმართა. დაძაბული თამაშების შედეგად, პირველი ადგილი იბერების გუნდმა მოიპოვა, მეორე ადგილზე კოლხები გავიდნენ, ხოლო მესამე ადგილი კელტების სახლს ხვდა წილად.

რაც შეეხება უფროს საფეხურებს, VII–XII კლასების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ტრადიციულ მარათონში, რომელიც ლისის ტბის ტერიტორიაზე მოეწყო. მოხალისეები სახლების მიხედვით ოთხ გუნდად გადანაწილდნენ. მარათონში საუკეთესო შედეგი კელტების სახლმა აჩვენა და პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილზე ბრიტების გუნდი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი კოლხების სახლმა დაიკავა.

სკოლის ადმინისტრაცია მადლობას უხდის თითოეულ მოსწავლეს აქტიურობისთვის, მაღალი სპორტული სულისკვეთებისა და გუნდური მუშაობისთვის. სპორტულმა დღეებმა კიდევ ერთხელ შეუწყო ხელი მოსწავლეებს შორის მეგობრული კავშირების გაძლიერებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

Sports Days at BGS

სპორტული დღეები ბიჯიესში

As the academic year drew to a close, BGS hosted its traditional Sports Days, during which students competed in teams organized according to the House System. The events provided an exciting atmosphere of healthy competition for both primary and secondary school students.

At the primary level, students took part in an inter-house football tournament. After a series of closely contested matches, the Iberians House secured first place, followed by the Colchians in second place and the Celts in third.

For the secondary level, students from Grades 7–12 participated in the traditional marathon held around Lisi Lake. Volunteers were divided into four teams representing their respective houses. The Celts House achieved the best overall result and claimed first place. The Britons House finished second, while the Colchians House secured third place.

The school administration thanks every student for their enthusiasm, sportsmanship, and teamwork. Once again, the Sports Days strengthened friendships among students and promoted the values of an active and healthy lifestyle.



BGS Students Participate in a Football Festival

ბიჯიესის მოსწავლეებმა საფეხბურთო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა

BGS students took part in a football festival organized by the British-Georgian Academy of Tbilisi.

The children enjoyed playing football with their peers in a friendly, positive, and non-competitive environment. They spent an active and enjoyable day together while strengthening teamwork, making new friends, and embracing the values of a healthy and active lifestyle.

ბიჯიესის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის ბრიტანულ-ქართული აკადემიის მიერ ორგანიზებულ საფეხბურთო ფესტივალში.

ბავშვებმა სიამოვნებით ითამაშეს ფეხბურთი თანატოლებთან ერთად, ყოველგვარი შეჯიბრის გარეშე, მეგობრულ და პოზიტიურ გარემოში. მოსწავლეებმა დრო საინტერესოდ და აქტიურად გაატარეს. მსგავსი სპორტული აქტივობები ხელს უწყობს გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბებას, ახალი მეგობრების შეძენასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi



School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.